აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №10

23/12/2022 **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია, **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებით დამტკიცებულ №4 დანართში („აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტის დებულება) შეტანილი იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

ა) დებულების მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) უზრუნველყოფს უსკოს ბალანსზე რიცხული სატელეფონო (მობილური) სიმბარათების გაცემა აღრიცხვიანობისა და კორპორატიულ ქსელში გააქტიურებას;“.

ბ) დებულების მე-2 პუნქტს დაემატოს „ღ“„ყ“და „შ“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ღ) უზრუნველყოფს ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში www.ebudget.ge ორგანიზაციის ბიუჯეტის ელექტრონულად შედგენას, გაგზავნას, ყველა საჭირო მოქმედებების ელექტრონულად შესრულებასა და კორექტირებას;

ყ) უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში www.etreasury.ge უსკოს საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტის თანამშრომლის (ბუღალტერი) მიერ მომზადებული დოკუმენტების კონტროლს და ელექტრონულად დადასტურებას;

შ) ასრულებს სხვა მოვალეობებს.“. გ) დებულების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის უფროსის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა (ბუღალტერი) და ასევე საჭიროების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისაგან.“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2023 წლის 9 იანვრიდან.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე

კომისიის მდივანი